მაუწყებლობის ტრანტიზით მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულება

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 ოპერატორი გაუწევს აბონენტს თანამგზავრული მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურებას, როგორც ეს განმარტებულია „მომსახურების გაწევის სტანდარტულ პირობებში“ (შემდგომში - „სტანდარტული პირობები“), ქსელის დაფარვის ზონის მოქმედების ტერიტორიაზე, თანამგზავრული ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ციფრული ტელემაუწყებლობის საშუალებით, ხოლო აბონენტი გადაიხდის მომსახურების საფასურს და შეასრულებს ხელშეკრულებით და მხარეთა შორის სხვა (ინდივიდუალური) შეთანხმებებით განსაზღვრული ვალდებულებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1.2 მომსახურების საფასური და სხვა სპეციფიკური პირობები მოცემულია დანართში. არხების ჩამონათვალი მოცემულია ოპერატორი ვებგვერდზე .

1.3 მომსახურების მიწოდება ხორციელდება: 1. წინამდებარე დოკუმენტის; 2 „მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობების“, 4. „კონფიდენციალობის პოლიტიკის“ და 5. „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ საფუძველზე. ჩამოთვლილი დოკუმენტები, წინამდებარე დოკუმენტთან ერთად წარმოადგენენ ერთიან (მთლიან) თანამგზავრული მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების ხელშეკრულებას (შემდეგში - ხელშეკრულება). აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ოპერატორის ვებგვერდზე (www.magticom.ge).

1.4 ოპერატორი მოახდენს აბონენტის შესახებ პერსონალურ მონაცემების დამუშავებას (კერძოდ, აბონენტის ვინაობის, პირადი ნომრის, მისამართის და სხვა ინფორმაციის, მათ შორის, კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, რითაც შესაძლებელია აბონენტის იდენტიფიცირება), რაც ემსახურება, თუმცა არ შემოიფარგლება აბონენტისათვის მომსახურების გაწევის მიზნებით. აბონენტი აცხადებს თანხმობას, რათა მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ოპერატორის მიერ, ისევე როგორც გადამოწმდეს შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. აბონენტს უფლება აქვს ოპერატორისათვის მიმართვის გზით გამოიხმოს აღნიშნული თანხმობა ნებისმიერ დროს, რამაც შეიძლება გამოიწვევს მისთვის ცალკეული მომსახურების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტა.

2 ქსელში ჩართვა/მომსახურების პირობები

2.1 მომსახურება გააქტიურდება (მომსახურების მიწოდება დაიწყება) აბონენტის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის/დადასტურების, ინსტალაციის საფასურის (ასეთის არსებობისას) და სააბონენტო გადასახდელის გადახდის ან/და მომსახურების პაკეტის შეძენიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში, თუ დანართით ან სხვა კონკრეტული გარიგებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

2.2 მომსახურების/დამატებითი სერვისის ინსტალაციის, მიღების, დამატების ან/და ცვლილების შესაძლებლობა გეოგრაფიული, ტექნიკური, უსაფრთხოების, თუ სხვა სახის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, დგინდება ოპერატორის მიერ.

2.3 შესაძლოა ოპერატორის მიერ განისაზღვროს მომსახურებით სარგებლობისას ჩართული სააბონენტო მოწყობილობის მაქსიმალური რაოდენობა, რის შესახებაც ინფორმაცია მოცემული იქნება ოპერატორის ვებგვერდზე.

2.4 აბონენტმა მომსახურების მისაღებად უნდა გამოიყენოს სააბონენტო მოწყობილობა, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ და ოპერატორის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ტექნიკურ მოთხოვნებს/სტანდარტებს (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

2.5 18+ ტელეარხების და ოპერატორის მიერ განსაზღვრული კონტენტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური კოდის შეყვანის შემთხვევაში, რომელიც კოდიც აბონენტს ეგზავნება საკონტაქტო ნომერზე ან ელ.ფოსტაზე, ასევე შესაძლოა მითითებული იყოს პორტალზე. არასრულწლოვნებისათვის ასეთი ტელეტელეარხების/კონტენტის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, კოდის დაცულად შენახვა წარმოადგენს აბონენტის პასუხისმგებლობას.

2.6 ოპერატორი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მოახდენს აბონენტის შესახებ პერსონალურ მონაცემების დამუშავებას (კერძოდ, აბონენტის ვინაობის, პირადი ნომრის, მისამართის და სხვა ინფორმაციის, მათ შორის,

კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, რითაც შესაძლებელია აბონენტის იდენტიფიცირება), რაც ემსახურება, თუმცა არ შემოიფარგლება აბონენტისათვის მომსახურების გაწევის მიზნებით. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აბონენტი აცხადებს თანხმობას, რათა მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ოპერატორის მიერ, ისევე როგორც გადამოწმდეს შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. აბონენტს უფლება აქვს ოპერატორისათვის მიმართვის გზით გამოიხმოს აღნიშნული თანხმობა ნებისმიერ დროს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისთვის ცალკეული მომსახურების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტა.

3 მომსახურების ხარისხი

3.1 ოპერატორი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აღმოფხვრას დაზიანება და აღადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან არაუგვიანეს 12 საათისა.

3.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული დათქმებისა, მათ შორის, „სტანდარტული პირობებით“ მოცემული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, თუ მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ დროს, ოპერატორის პასუხისმგებლობა, მისი დადასტურებული ბრალეულობის შემთხვევაში, შემოიფარგლება და განისაზღვრება შემდეგნაირად:
ძირითადი მომსახურების შემთხვევაში, უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში აბონენტის მიერ ერთი საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტობრივად მიღებული მომსახურების საფასურის ოდენობის 1 პროცენტი, ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე. შენიშვნა: ამ პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაცია მოთხოვნილ უნდა იყოს აბონენტის მიერ და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში იგი დაერიცხება აბონენტს სააბონენტო ანგარიშზე გააქტიურებული ლიმიტის სახით.

3.3 მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების დრო ითვლება აბონენტის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი წესით ოპერატორის შეტყობინების მომენტიდან მის აღმოფხვრამდე დროის მონაკვეთით.

3.4 აბონენტი უფლებამოსილია მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მიიღოს ცხელი ხაზის საშუალებით.

3.5 თუ დაზიანება ქსელის ტერმინაციის წერტილიდან ოპერატორის მხარესაა, ოპერატორი ვალდებულია აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები და ნაკლოვანებები და აღადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთარსებული რესურსების გამოყენებით, გონივრულ ან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. თუ დაზიანების აღდგენისათვის საჭიროა დაზიანების ადგილზე მისვლა, მისვლის დრო შეთანხმდება აბონენტთან და იმოქმედებს დაზიანების აღმოფხვრის განსხვავებული ვადა.

3.6 თუ დაზიანება ქსელის ტერმინაციის წერტილიდან აბონენტის მხარესაა ან გამოწვეულია აბონენტის ქმედებით, ოპერატორი არ არის ვალდებული აღმოფხვრას ამგვარი დაზიანება. ასეთ შემთხვევაში, ოპერატორის და აბონენტის შეთანხმებით შესაძლოა დაზიანება აღმოფხვრას ოპერატორმა. ასეთი დაზიანების აღმოფხვრის საფასური განისაზღვრება დაზიანების ტიპის დადგენისა და მოკვლევის შედეგად, ინდივიდუალურად, ოპერატორის მიერ. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, დაზიანების დადგენისა და მოკვლევის მიზნებისათვის ოპერატორის ტექნიკური პერსონალის გამოძახება შესაძლოა იყოს ფასიანი.

3.7 მომსახურების აპარატურაზე ქარხნული წუნის არსებობისას, ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს მისი შეკეთება/შეცვლა საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში, საგარანტიო პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. თუ გასულია საგარანტიო პერიოდი ან არსებობს საგარანტიო პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა, რაც გამორიცხავს საგარანტიო პირობების მოქმედებას, ოპერატორი უფლებამოსილია მომსახურების აპარატურის შეკეთება/შეცვლისათვის მოსთხოვოს აბონენტს შესაბამისი საფასურის გადახდა.

4 მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა/აღდგენა

4.1 ოპერატორი უფლებამოსილია შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება:

4.1.1 დანართით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დადღვევისას;

4.1.2 სრულად ან ნაწილობრივ „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ დარღვევისას;

4.1.3 ოპერატორის მიერ შეთავაზებულ ნებისმიერ სხვა მომსახურებაზე დავალიანების არსებობისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აბონენტს მომსახურება წინასწარ აქვს შეძენილი;

4.1.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ან მისი პირობების დარღვევისას.

4.2 მომსახურების შეზღუდვა ავტომატურად იწვევს დამატებითი სერვისის შეზღუდვას, თუ ასეთი დამატებით სერვისის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.3 ბალანსის/ერთეულების ამოწურვის, დავალიანების ან დაგეგმილი პროფილაქტიკური სამუშაოების გამო მომსახურების შეზღუდვამდე, ტექნიკური და პროგრამულ-აპარატული ფუნქციონალობის სრული ხელმისაწვდომობის და შესაძლებლობების ფარგლებში, აბონენტის გაფრთხილების მიზნით ოპერატორის მოახდენს ინფორმირებას, მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის შესახებ. სხვა შემთხვევებში (მაგ. ფორს-მაჟორი) ოპერატორი მიიღებს გონივრულ ზომებს აბონენტის ინფორმირებისათვის.

4.4 ოპერატორის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად, გაგზავნის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, აბონენტის მიერ მოხდება თუ არა ასეთი შეტყობინების შინაარსის ფიზიკურად მიღება/წაკითხვა/მოსმენა.

4.5 მომსახურების მიწოდება განახლდება დავალიანების სრულად დაფარვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა დარღვევისას მისი აღმოფხვრიდან 24 საათის განმავლობაში.

4.6 დავალიანების ან ავანსის/ერთეულების ამოწურვის ან პაკეტის ვადის გასვლის გამო, თუ არ შეიზღუდა მომსახურების მიწოდება აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების საფასური.

4.7 თუ კონკრეტული შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, დავალიანების დანართით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის/არასრულად გადახდის შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილი იქნება დაარიცხოს აბონენტს ჯარიმა გადაუხდელი თანხის 20 პროცენტის ოდენობით.

5 ტარიფები

5.1 მომსახურების ტარიფები/პაკეტები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე. თუ დანართით ან დამატებითი სერვისით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, ანგარიშსწორება წარმოებს შემდგომი გადახდის პირობით.

5.2 თავდაპირველად შერჩეული მომსახურების პაკეტის ცვლილება შესაძლებელია ახალი დანართის გაფორმების გარეშე, ოპერატორის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა ფორმით. დამატებითი სერვისების, მათ შორის, ჯგუფის გამოძახების, მომსახურების მიღების მისამართის ცვლილების, დემონტაჟის ტარიფები და პირობები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე.

5.3 გადახდის პირობის ცვლილება, კერძოდ შემდგომი გადახდის პირობის ცვლილება წინასწარი გადახდის პირობაზე, შესაძლებელია ახალი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, ოპერატორის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა ფორმით. ასეთ შემთხვევაში, იმოქმედებს ოპერატორის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ხელშეკრულების პირობები.

5.4 აბონენტის მიერ ანგარიშსწორება/სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანა ხორციელდება მისთვის მინიჭებულ საიდენტიფიკაციო ნომერზე.

5.5 სააბონენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია პორტალის ან ოპერატორის ვებგვერდის ან ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებით. ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად მესამე პირების სერვისის გამოყენებისას, სერვისის საფასური და პირობები დგინდება ასეთი სერვისის გამწევი კომპანიის მიერ და იგი სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს.

5.6 ტარიფები მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, თუ კონკრეტული მომსახურების ტარიფით გათვალისწინებული პირობებით, სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

5.7 ოპერატორი უფლებამოსილია აბონენტის ნებისმიერი მომსახურების ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას ოპერატორის მიერ გაწეული ნებისმიერი მომსახურების საფასური ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან მისაღები თანხა.

6 ხელშეკრულების ძალაში შესვლა/მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

7 მომსახურების და ხელშეკრულების პირობების ცვლილება

7.1 მომსახურების/ხელშეკრულების პირობები ან ტარიფები, სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად მინიმუმ 30 დღით ადრე აბონენტის შეტყობინების საფუძველზე.

7.2 თუ ცვლილებების შედეგად იზრდება მომსახურების საფასური ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევა, ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის ინფორმირებას ინდივიდუალური შეტყობინებით, განახლებული ინფორმაციის მიღების საშუალების მითითებით. ყველა სხვა შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია არ დაიცვას პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

7.3 აბონენტი უფლებამოსილია ახალი პირობების ან ტარიფების ძალაში შესვლამდე, შეცვალოს მომსახურების პაკეტი ან შეწყვიტოს იმ მომსახურების სახეობა, რომელსაც ეხება ცვლილებები ან შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ აბონენტი გააგრძელებს მომსახურების შეცვლილი პირობებით მიღებას, მიიჩნევა რომ იგი სრულად ეთანხმება ცვლილებებს.

7.4 აბონენტი უფლებამოსილია გაიაქტიუროს/შეიძინოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული მისთვის სასურველი სატარიფო გეგმა/დამატებითი სერვისი. ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის მიერ შერჩეული სატარიფო გეგმის ან აქციის პირობების გაცნობის და გააქტიურების შესაძლებლობას სხვადასხვა ფორმით (IVR, SMS, USSD და ა.შ.). ინფორმაცია ტარიფის შეცვლის, აქციაში/სატარიფო გეგმაში ჩართვის პირობების შესახებ პერიოდულად ქვეყნდება ოპერატორის ვებგვერდზე.

7.5 აბონენტის ნების გამოვლენა შესაძლოა დადასტურდეს SMS, USSD პორტალის, აპლიკაციის, საკონტაქტო მონაცემებიდან გამოგზავნილი შესაბამისი დასტურით და ნებისმიერი სხვა ფორმით. მომსახურების პაკეტის/დამატებითი სერვისის/მომსახურების პაკეტის აბონენტის მიერ შეცვლა/აქტივაცია გულისხმობს, რომ აბონენტი დეტალურად გაეცნო მის პირობებს და უპირობოდ ეთანხმება მათ. მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების/დამატებითი სერვისის მიღებისას, ოპერატორის მიერ შეთავაზებული ფორმით/პირობებით (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინება, USSD, პორტალი, კოდური სიტყვა, ელექტრონულ მოწყობილობაზე ხელმოწერა - signature pad, ელ. ფოსტა) აბონენტის მხრიდან ნების გამოვლენა პორტალიდან, სააბონენტო ნომრიდან/საკონტაქტო ნომრიდან/ელ.ფოსტიდან ან ნებისმიერ სხვა ფორმით განხორციელებული დასტური უთანაბრდება მის მიერ გამოხატულ თანხმობას კონკრეტულ ქმედებაზე, პირად ხელმოწერას მატერიალურ დოკუმენტზე და გააჩნია იგივე იურიდიული ძალა.

7.6 თუ კონკრეტული აქციით/შეთავაზებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მომსახურების პაკეტის ცვლილების შემდეგ, შემდგომი ცვლილება ღირებულებით ნაკლებ პაკეტზე შესაძლებელია მხოლოდ 30 დღის გასვლის შემდეგ, აგრეთვე ე.წ. თემატური პაკეტების ცვლილება თუ გაუქმება შესაძლებელია აბონენტის მიერ მათი გააქტიურებიდან მხოლოდ 30 დღის გასვლის შემდეგ.

7.7 იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ მუხლით დადგენილი წესით, ხელშეკრულების პირობები შესაძლებელია ოპერატორის მიერ ცალმხრივად შეიცვალოს, ოპერატორის ვებგვერდზე ქვეყნდება ხელშეკრულების ტესტის განახლებული ვერსია ცვლილებების თარიღების მითითებით და ამ ვერსიას ექნება უპირატესი ძალა მხარეთა შორის მანამდე მოქმედ ხელშეკრულებასთან მიმართებით.

8 <u>ხელშეკრულების შეწყვეტა</u>

8.1 ხელშეკრულება შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეწყდეს:

8.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

8.1.2 აბონენტის მოთხოვნით;

8.1.3 მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 60 დღის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში;

8.1.4 ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად ოპერატორთან გაფორმებული წინამდებარე, თუ სხვა ხელშეკრულების ფარგლებში „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ დარღვევის შემთხვევაში;

8.1.5 ერთი მხარის ინიციატივით, თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და დამრღვევი მხარე გაფრთხილების მიუხედავად არ აღმოფხვრის დარღვევას ან გაფრთხილების მიუხედავად განმეორებით დაარღვევს კონკრეტულ ვალდებულებას;

8.1.6 ოპერატორის ინიციატივით, მომსახურების/ტექნოლოგიის გაუქმების ან მოდიფიცირებისას ან თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე ობიექტური მიზეზების გამო, ოპერატორს აღარ ექნება მომსახურებას მიწოდების შესაძლებლობა;

8.1.7 ერთ-ერთი მხარის გარდაცვალების/ლიკვიდაციისას;

8.1.8 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2 ოპერატორი ასევე უფლებამოსილია, შეწყვიტოს შეკვეთილი მომსახურება იმ შემთხვევაშიც, თუ შეუძლებელი ხდება აბონენტისათვის შეკვეთილი მომსახურების მიწოდება ობიექტური მიზეზების გამო, რაც შეიძლება იყოს მაგალითად: ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი დაზიანება, მესამე პირების მხრიდან ინფრასტრუქტურით/ფართით სარგებლობის შეზღუდვა/აკრძალვა, წინააღმდეგობა უსაფრთხოების სტანდარტებთან, ნებართვის, ავტორიზაციის გაუქმება/შეჩერება, კონკრეტული მომსახურების მიწოდების სრულად შეწყვეტა ან მისი არსებითი მოდიფიცირება და სხვ...

8.3 თუ აბონენტს მომსახურება მიეწოდება სპეციალური აქციით/შეთავაზების ფასით (მაგალითად, ერთდროულად ორი ან მეტი მომსახურების სახეობაზე დადგენილი საფასური), რა შემთხვევაშიც რომელიმე ერთი მომსახურების შეჩერებამ ან შეწყვეტამ, მათ შორის, ვადაზე ადრე, შესაძლოა გამოიწვიოს სააბონენტო გადასახდელის/საფასურის ცვლილება/გაზრდა (აქციით/შეთავაზებით სარგებლობის დაწყების დღიდან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღამდე ან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების თარიღამდე), აგრეთვე საინსტალაციო საფასურის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულის თაობაზე მითითებული იქნება ასეთი სპეციალური აქციის/შეთავაზების პირობებში.

8.4 აბონენტს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის (შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში) სააბონენტო ანგარიშზე არსებული და გაუხარჯავი თანხის დაბრუნება. აბონენტს თანხა დაუბრუნდება მოთხოვნიდან 30 დღის განმავლობაში, დავალიანების (მათ შორის, ოპერატორთან არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე) და მომსახურების ხარჯების გამოკლებით.

8.5 ხელშეკრულების შეწყვეტისას უქმდება სააბონენტო ანგარიშზე არსებული ნებისმიერი სახის ერთეულები, საჩუქარი, შეღავათი, ქულა და სხვ...

9 მომსახურების აპარატურა

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს ოპერატორს დროებით სარგებლობაში გადაცემული მომსახურების აპარატურა შეწყვეტის თარიღიდან 30 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბონენტი ვალდებული იქნება გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა შესაბამის დანართში/მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებგვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად.

9.2 მომსახურების აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ოპერატორს დაზიანებული მომსახურების აპარატურის საკომპენსაციო თანხა შესაბამის დოკუმენტში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებგვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად. ამასთან, დაზიანებულად ჩაითვლება ყველა ის მომსახურების აპარატურა, რომელსაც აქვს ნივთობრივი ნაკლი (გარეგანი დეფექტები, ბზარები და სხვა სახის ზემოქმედების ნიშნები).

9.3 აბონენტს ეკრძალება მომსახურების აპარატურის მთლიანობის დარღვევა ან რაიმე ფორმით გადაკეთება, პროგრამული უზრუნველყოფის შეცვლა და ა. შ. აბონენტი ვალდებულია მომსახურების მიღებისას გამოიყენოს მხოლოდ ოპერატორის მიერ გადაცემულია აპარატურა (STB) და დაიცვას მისი გამოყენების ინსტრუქციით განსაზღვრული წესები (ინსტრუქცია თან ახლავს სააბონენტო მოწყობილობას).

9.4 თუ მომსახურების აპარატურის გადაცემის დოკუმენტში კონკრეტულად არ არის დაყოფილი მომსახურების აპარატურა და მისი აქსესუარები, ნებისმიერი გადაცემული მომსახურების აპარატურა, გულისხმობს ამ მომსახურების აპარატურის გადაცემას მისი ჯეროვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ისეთ აქსესუარებთან ერთად, როგორიცაა კვების ბლოკი, პულტი, ან სხვა, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა აღნიშნული აქსესუარების მითითება შესაბამის დოკუმენტში.

9.5 მომსახურების მიღების ფართზე აბონენტის არყოფნის შემთხვევაში, აბონენტი უფლებამოსილია შეატყობინოს ოპერატორს იმ პირის ვინაობა, ვინც უფლებამოსილი იქნება აბონენტის სახელით ჩაიბაროს/გადასცეს აპარატურა ან ხელი მოაწეროს/დაეთანხმოს ნებისმიერ დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში, ასეთი პირი ჩაითვლება აბონენტის მინდობილ/უფლებამოსილ პირად.

9.6 მომსახურების აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, ოპერატორი უზრუნველყოფს ასეთი აპარატურის უსასყიდლოდ შეცვლას საგარანტიო პერიოდის მოქმედებისას და საგარანტიო პირობებით დადგენილი წესით. სხვა შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს აბონენტს აპარატურის საფასური.

9.7 აბონენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მოწყობილობის საგარანტიო მომსახურებით ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან – 90 დღის განმავლობაში, თუ მოწყობილობის არაადექვატური მუშაობა გამოწვეულია ქარხნული დეფექტით (საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება მოწყობილობის მექანიკური ან ელექტრონული ზეგავლენით დაზიანების, მოწყობილობის არასწორი ექსპლოატაციის და მოპყრობის, აბონენტის დაუდევრობით გამოწვეული სხვა დაზიანებების შემთხვევებში); აბონენტის მიერ, დროებით სარგებლობაში გადაცემული სააბონენტო მოწყობილობის შესყიდვის შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო ვადა აითვლება აბონენტისთვის სააბონენტო მოწყობილობის დროებით სარგებლობაში გადაცემის თარიღიდან. ზოგადი საგარანტიო პირობები მოცემულია სტანდარტულ პირობებში. თუ გასულია საგარანტიო პერიოდის გასვლის ან საგარანტიო პირობებით და ამ ხელშეკრულებით (დანართით) გათვალისწინებულ შემთხვევებში, ოპერატორი უფლებამოსილია მომსახურების აპარატურის შეკეთება/შეცვლისათვის მოსთხოვოს აბონენტს შესაბამისი საფასურის გადახდა.

9.8 მომსახურების აპარატურის გადაცემის ან შეცვლის ან დაბრუნების დროს მატერიალური ან ელექტრონული სახით ფორმდება შესაბამისი დოკუმენტი.

10 პასუხისმგებლობა

10.1 ოპერატორი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს აბონენტს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს აბონენტს ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად და რომელიც გამოწვეულია, ოპერატორის დადასტურებული ბრალეულეულობით, მხოლოდ განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით.

10.2 აბონენტი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს ოპერატორს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს ოპერატორს აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

10.3 გარდა ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული, არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორეს წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებელის ან ნაყოფის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

10.4 აბონენტი აცნობიერებს, რომ ოპერატორი არ წარმოადგენს შეთავაზებული სატელევიზიო პროგრამების შემქმნელს (გარდა იმ არხებისა, რომელთა მაუწყებლობის ტრანზიტი ხორციელდება ოპერატორის ლოგოთი) და მის მიერ მიწოდებული მომსახურება წარმოადგენს მაუწყებლობის ტრანზიტს, რაც გულისხმობს მაუწყებლის ტელეგადაცემების უცვლელი ფორმატით მიწოდებას და ოპერატორი არ იძლევა გარანტიას და სრულიად იხსნის პასუხისმგებლობას მესამე პირების (მაუწყებლების) საეთერო ბადეში არსებული პროდუქციის (პროგრამები, გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები და ა.შ.) შინაარსზე, ხარისხზე, სიზუსტეზე, ხელმისაწვდომობაზე და დროულობაზე, სამაუწყებლო ბადეში ცვლილებებზე, მაუწყებლების მიერ საკუთარი საქმიანობის დროებით შეჩერებაზე ან შეწყვეტაზე.

10.5 ოპერატორის წინასწარი თანხმობის გარეშე, აბონენტს ეკრძალება მომსახურების შემდგომი გადაცემა, საჯარო ჩვენება (საკონფერენციო დარბაზებში, ჰოლებში, სილამაზის სალონებში, ბარებში, რესტორნებში, სასტუმროებში, საავადმყოფოებში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში), ჩაწერა, ასლის გადაღება და გავრცელება და სხვა ნებისმიერი საშუალებით მომსახურების კომერციული მიზნით გამოყენება.

11 პრეტენზიის წარდგენის წესები/დავის გადაწყვეტა

11.1 აბონენტი უფლებამოსილია პრეტენზიით (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) მიმართოს ოპერატორს ცხელი ხაზზე ან ელ. ფოსტაზე ან მისამართზე. საჩივრის ფორმა და მისი განხილვის წესები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე. აბონენტის საჩივარი განხილული იქნება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ

საჩივარი ეხება მაუწყებლობის სფეროს (ოპერატორის მიერ წარმოებული სატელევიზიო არხების მაუწყებლობას), პრეტენზია განიხილება „საჩივრების განმხილველი საბჭოს და სააპელაციო საბჭოს დებულებით“ დადგენილი წესების შესაბამისად.

11.2 მხარეებს შორის დავა მხარის (პრეტენდენტის) არჩევანით, განსახილველად შესაძლებელია გადაეცეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს (მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე) ან სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენს დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს). ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დავა ეხება აბონენტის მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობას, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიქცეულ იქნება აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის საფუძველზე.

მაუწყებლობის ტრანტიზით მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულების დანართი

მაგთისატის პაკეტი [---]

არხების რაოდენობა	[---]
მომსახურების ყოველთვიური საფასური	[---]

თუ მომსახურების აპარატურა გადაცემულია დროებით სარგებლობაში - პაკეტის ღირებულება მოიცავს სააბონენტო მოწყობილობის ქირავნობის საფასურს.

1. დროებით სარგებლობაში გადაცემული მომსახურების აპარატურის ქირავნობის საფასური შეადგენს თვეში 10 ლარს. მომსახურების აპარატურის გადაცემისას ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. დროებით სარგებლობაში გადაცემული მომსახურების აპარატურა წარმოადგენს ოპერატორის საკუთრებას. აბონენტი ვალდებულია მოუაროს და დაიცვას მომსახურების აპარატურა.
2. აბონენტის მიერ გადახდილი ინსტალაციის საფასური აბონენტს არ უბრუნდება.
3. აბონენტი ვალდებულია გაწეული მომსახურების საფასური (პაკეტის ღირებულება, დამატებითი სერვისი და სხვა) სრულად გადაიხადოს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 6 რიცხვამდე (5 რიცხვის დღის ბოლომდე). იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს ორი ან მეტი მომსახურებით (მიმღებით), ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასურის სრული ოდენობა (ყველა მიმღებზე). საანგარიშო თვე ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის არის კალენდარული თვე.
4. სააბონენტო გადასახდელის დროულად და სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში მომსახურების მიწოდება შეიზღუდება.